თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 31 მაისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში საყრდენი კედლების მშენებლობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (11 ობიექტი) შესყიდვის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ლევან ჭანჭალეიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის (ქალაქ ქუთაისში საყრდენი კედლების მშენებლობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (11 ობიექტი)) პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ქალაქ ქუთაისში საყრდენი კედლების მშენებლობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (11 ობიექტი) სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2. კონკურსი ჩატარდეს 2012 წლის 07 ივნისს 12:00 საათზე.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2012 წლის 07 ივნისი 12:00 საათამდე პერიოდი.
4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **კოტე რატიანი**

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე